წლიწადი მეორე — ფასი 10 კაპ. — შაბათი, 1 ღვინობისთვე 1916 წ. — № 218

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს ... ... კვირა ... ... ... კნელზე—10 კ., კავშირის ... ... ... ... ... ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

ფასი ... ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.



კნ. ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა, შვილები: თამარი, მარგალიტა, კოლია და შალიკო ნიჟარაძენი მადლობას უძღვნიან იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და პატივი სცეს დეპეშებით თუ საკუთარ დასწრებით, საყვარელ მიცვალებულის

თ-დ ლუარსაბ (იოსების) პაატის ძის
ნიჟარაძის
დასაფლავების დღეს. (1—352—1)

ნადვორნი სოვეტნიკის
გრიგოლ გვადიას ძე
კეიდიას
ტრაღიკული გარდაცვალების ორმოცზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მიცვალებულის სასაფლაოზე სამშაბათს, 4 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ქ. ზუგდიდში, ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის გალავანში, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით გულმოკლულნი გვადია ჯამლეთის ძე, ფილიპე გვადიას ძე, მატრონა ნიკოლოზის ასული, ეკატერინე გრიგოლის ასული და ქიონია დავითის ასული კეიდიები და ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ფიჩხაია.

დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი მეუღლით და შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის დისწულის, სტუდენტის და იუნკერის
იოსებ მექანარიშვილის
ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები დღეს, შუადღის 12 საათზედ ქვაშვეთის წმ. ნდა გიორგის ეკლესიაში. (1—356—1)

გულმოკლულნი: დედა ანნა გიორგის ასული, ძმები: ლეონიდ, ათინოგენ, ვიქტორ და არჩილ, დები: თამარ, ელო და ნინა მენაქარიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 30 ენკენისთვეს, დილის 6 საათზე, ტრაღიკულად გარდაიცვალა ნოვო-ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის მე-3-ე კურსის სტუდენტი, ამ ჟამად თბ. მესამე სამხედრო სკოლის იუნკერი საყვარელი და დაუვიწყარი
სოსო (იოსებ) იოსების ძე
მექანარიშვილი
პანაშვიდი დღეს შუადღის 12 საათზედ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—355—1)

აკაკის სახელობის ქართული
საბავშვო ბაღი
ან. გედევანიშვილისა.
მიიღება ბავშვები სამიდან შვიდ წლამდე. სწავლა იწყება 1 ოქტომბერს.
ჩაწერა შეიძლება სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიის შენობაში, დილის ათიდან პირველ საათამდე. პარაკლისი გადახდილ იქნება 1 ოქტომბერს, დილის 11½ საათზე. (თ—258—6)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

გასაყიდი სიმინდი
რომელსამე დაწესებულებას, სოფლის კოოპერატივებს ან კერძოდ სოფლებს თუ ჰსურთ შეიძინონ
ბესარაბიის პირველ ხარისხოვანი სიმინდი
დაიჭირონ დასაკვეთად, რათა თვით გადმოტვირთონ ვაგონებიდან, რაც შესამჩნევად უფრო იაფია (1 მ. 15 კ.), ვიდრე საწყობიდან გამოტანის დროს. ფული უნდა გაეგზავნოს იასონ ბახვას ძე გაბილაიას სახელმწიფო ბანკში ან და ფოსტით. შეიძლება გაიგზავნოს ფასდადებითაც.
მისამართი დეპეშისთვის: ბათომი „ორიენტალ“ გაბილაიას.
(2—259—1)




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგძით ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—12) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
ნიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაქში, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის ხაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჭაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

მახსაუს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს
სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—7)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთაწმინდის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთაწმინდის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

თბ. კოოპერატიული საზოგადოების
„შრომის“
გამგეობა ამით მ 6 აცხადებს, რომ დაიწყო თავის მოქმედება 26 ამ თვიდან.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრებათ და შეიტანონ პაის ფული ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, საღამოს 7-დან 9 საათამდე ზ. რატიანის კანტორაში სიონის ქუჩაზე, ანანოვის ქარვასლაში.
(3—348—2)

დ. ზისხაფუნხი
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე


## საბერძნეთის ანარქია

ათინაო, ამბობს მონტესკიე, ერთსა და იმავე მცხოვრებთა რიცხვს შეიცავდა ბატონობის და სიდიადის დროსაც და დამცირების და დაქვეითების ხანაშიც. ათინის რესპუბლიკას ოცი ათასი მოქალაქე ჰყავდა, როცა ბერძნებს სპარსელებისაგან იცავდა და იგივე ოცი ათასი იყო იქ, როცა დიმიტრი ფალერიელი მოქალაქეებს სთვლიდა როგორც მონებს ბაზარში.

ამ სიტყვებით დიდ ფრანგ მოაზროვნეს ის უნდოდა გამოეთქვა, რომ მცხოვრებთა რიცხვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ერის პოლიტიკურ და კულტურულ სიძლიერისათვის. დღევანდელი საბერძნეთის მაგალითზე კიდევ უფრო ნათლად სჩანს ამ აზრის ჭეშმარიტება. დღეს ათინაში ხუთჯერ მეტი მოქალაქე უნდა იყოს, ვიდრე კლასიკურ ეპოქაში იყო, მთელი საბერძნეთი ოთხ მილიონამდე მცხოვრებს უნდა შეიცავდეს. თუ ალექსანდრე მაკედონელისა და ბიზანტიის ხანას სახეში არ მივიღებთ, საბერძნეთის სამეფო არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი და მრავალრიცხოვანი როგორც დღეს არის. მაგრამ ამასთან ერთად ძნელია მეორე ისტორიული ეპოქის გამონახვა, როცა ელლინური ტომი უფრო უმწეო, უფრო შესაბრალის მდგომარეობაში ყოფილიყოს.

შინაგანი განკერძოებისა და წინააღმდეგობის სული ძველადაც ძლიერი იყო საბერძნეთში. ათინა სპარტას ექიშპებოდა, კორინთოსი არგოსს. ქედმაღალი და გულზვიადი სტრატეგები და პოლიტიკური მოღვაწეები სპარსელ სატრაპებთან მირბოდნენ, როცა სამშობლოში მათი თავმოყვარეობა ოდნავ ილახებოდა და სამშობლოც უმეტეს შემთხვევაში ოსტრაკიზმით უმასპინძლდებოდა, ე. ი. ძალად აძევებდა თავის საუკეთესო შვილებს. საბერძნეთის სიძლიერეს ყველაზე მეტად შინაურმა ბრძოლამ, ეგრედ წოდებულმა პელოპონესის ომმა გაუთხარა ძირი და საბერძნეთის პრესტიჟი ყველაზე მეტად ნიჭიერი ინტრიგანების მოღვაწეობამ შეარყია.

ეროვნული ხასიათი საერთოდ ნაკლებ ცვალებადია და თანამედროვე ბერძნებში ნათლად სჩანს გარდასული თაობების ნაკლი. თითქო ალკიბიადესის სული მკვდრეთით აღსდგა და ვენიზელოსში განხორციელდა. თითქო ძველი სპარტანელი და ათინელი ჰოპლიტების აჩრდილები საფლავებიდან გამოვიდნენ რათა საბერძნეთის ტერიტორიაზე ერთხელ კიდევ აწარმოვონ ძმის მკვლელი, სისხლის მღვრელი ომები. ქვეყანა ანარქიამ მოიცვა და უკანასკნელი დროის ამბებმა გამოააშკარავეს, რომ შესუსტებულია არა მარტო ხალხის პოლიტიკური შეგნება, არამედ ზნეობრივი გრძნობაც.

ეროვნული ნებისყოფის სიმტკიცე და მთლიანობა საბერძნეთს არასოდეს არ სჭირებია ისე როგორც ეხლა სჭირია. ინგლის-საფრანგეთმა მრავალრიცხოვანი დესანტი გადმოასხა ათინის მთავრობის პროტესტის მიუხედავად და სალონიკის რაიონი დაიჭირა. სამხრეთ ალბანიაში იტალიამ მოიკიდა ფეხი. ჩრდილოეთ საზღვარში ბულგარეთ-გერმანიის ჯარი შემოიჭრა და ახლად შემოერთებული მაკედონიის ნაწილი დაიპყრო. ნაკლებ რთულსა და ტრაგიკულ მდგომარეობაში პაწია ბელგიამ დიდი გმირობა და ერთსულოვნობა გამოიჩინა: მთელი ერი ერთი იდეის გარშემო გაერთიანდა და თუ სამშობლო ტერიტორია არა' ეროვნული თავმოყვარეობა მაინც შეუბღალავად შეინარჩუნა. მთელი ქვეყანა სოციალისტებიდან დაწყებული კლერიკალებამდე კოალიციური მთავრობის გარშემო შემოიკრიბა და ძლიერი მტრის ლაშქარს მცირე რიცხოვანი, მაგრამ თავგანწირული რაზმი შეახვედრა.

ამის მსგავსი ჯერჯერობით არაფერი სჩანს საბერძნეთში. როცა ვენიზელოსი ჩუმად ინგლის-საფრანგეთის ჯარს იწვევდა, მეფე კონსტანტინე იდუმალ მოლაპარაკებას გერმანელებთან აწარმოებდა. საბერძნეთის ჯარის ერთი ნაწილი სარაილს ემხრობოდა სალონიკში, მეორე კი ბულგარელებს უომრად ნებდებოდა კავალაში. ფლოტის ერთი ნაწილი გერმანელ წყალქვეშა ნავებს უწევდა დახმარებას, მეორე კი ინგლის-საფრანგეთის ესკადრას. ოფიციალური მთავრობა თითქო ნეიტრალიტეტს იცავდა, სატახტო ქალაქის ბრბო კი თავს ესხმოდა ოთხთა შეთანხმების წარმომადგენლებს.

ბოლო დროს ანარქიამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. კუნძულ კრიტოსის დედა-ქალაქ კანეიაში ვენიზელოსმა დროებითი მთავრობა დააარსა. ეს მთავრობა რევოლუციურია არსებითად და მისი გავლენის სფეროში ეგეისა და იონიის ზღვის კუნძულებს გარდა, მაკედონიის ნაწილი შედის. მეტროპოლია კვლავინდებურად ათინის მთავრობას ექვემდებარება. მაგრამ ამ უკანასკნელის უბედურება იმაშია, რომ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოები მხარს უჭერენ კრიტოსის ტრიუმვირატს და ყოველი ღონისძიებით მის განმტკიცებას სცდილობენ. ოთხთა შეთანხმებას კი გავლენიანი საშუალებები მოეპოვება ათინის მთავრობის დასაურვებლად: ძლიერი ფლოტი, რომელიც პატარა ნახევარ კუნძულს გარს არტყია რკინის სალტივით, სალონიკის არმია, რომელიც ახლა დაახლოვებით ორასი ათასი მეომარისაგან უნდა შესდგებოდეს, სურსათი, რომელიც ასე ესაჭიროება მჭიდროდ დასახლებულ და უნაყოფო საბერძნეთს. და საბერძნეთის მმართველი იძულებულია გარეგნულად რაც შეიძლება მეტი დაუთმოს ოთხთა შეთანხმებას: ჯერ მან ჯარის დემობილიზაცია მოახდინა, შემდეგ ვითომ რეზერვისტების ლიგები დაშალა; შემდეგ კიდევ ფოსტა-ტელეგრაფი ინგლის-საფრანგეთის განკარგულებაში გადასცა და ბოლოს ერთიმეორეზე რამოდენიმე სამინისტრო დაითხოვა იდუმალი გერმანოფილობისათვის. როგორც დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს ოთხთა შეთანხმებას კიდევ ახალი ულტიმატუმი წარუდგენია ათინის მთავრობისათვის: ამ ულტიმატუმის ძალით საბერძნეთმა თავის სამა სამხედრო გემს იარაღი აჰყაროს, სანაპირო სიმაგრეები ზოგი მოშალოს, ზოგი ინგლისელი ამირბარის განკარგულებაში გადასცეს. თითქო ძნელია უფრო შორს წასვლა; მაგრამ არსებითად ათინის მთავრობიდან ბოლო დროს კიდევ მეტს ითხოვენ: დაუსრულებელი ულტიმატუმების საბოლოო აზრი ის არის, რომ საბერძნეთი უნდა აიძულონ ბულგარეთ-გერმანეთის წინააღმდეგ გაილაშქროს სარაილის ჯართან ერთად.

მეფე კონსტანტინეს გული იმ თავითვე ვილჰელმ მეორისთვის სცემდა მაგრამ ნეიტრალიტეტის დარღვევა და ომში ჩარევა მარტო მგრძნობიარე გულის საკითხი როდი არის. სერბიის, მთაშავეთის და რუმინიის მაგალითები ყველაზე მახლობელნი და თვალსაჩინონი საბერძნეთისათვის არიან: ეს მაგალითები კი მხოლოდ იმას ასწავლიან თუ რა საშინელ უბედურებას წარმოადგენს პატარა ქვეყნისთვის ტევტონელ ურდოების შემოსევა. ამიტომ ძნელი მოსალოდნელია, რომ საბერძნეთის ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა, რომელიც წინამორბედთაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ სახელად ლამბროსი ჰქვიან, ბოლო მოუღოს რყევისა და უმოქმედობის პოლიტიკას.

გერონტი ქიქოძე.

## საქართველოს ღერბი

მას მერე რაც საქართველო რუსეთს შეეულა, რუსის იმპერატორმა შეჰმატა თავის ტიტულს სახელწოდება „მეფე საქართველოსი“, რომელიც ფინლიანდიაზე წინ იხსენიება; მთელი ტიტული ასე იკითხვის: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვგოროდისა, მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე პოლონეთისა, მეფე ციმბირისა, მეფე ტავრიდის ხერსონესისა, **მეფე საქართველოსი**, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვა“.[1])

[1]) კრებული კანონებისა, I, ნაწ. 1. თ. VI.

ამასთანავე რუსეთის სახელმწიფო ღერბში, ორთავიან არწივის ფრთებზედ ადგილი დაეთმო საქართველოს ღერბს; იგი ამნაირად არის აღწერილი რუსეთის ძირითად კანონებში[2]): საქართველოს სამეფოს ღერბი ოთხკერძი ფარია, რომლის შუაგულს მცირე ფარზედ ჰხატია ღერბი **საქართველოსი**: ცისფერად აღჭურვილი წმიდა გიორგი, რომელიც მერანზედ ზის და შუბსა სცემს მომწვანო, შავფრთოსან, მეწამულ თვალებიან გველეშაპს.

დიდი ფარის პირველ მეოთხედში **ივერიის** ღერბია: გაჭენებული ვერცხლის ფერი რაში; ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეში ვერცხლის ფერივე ვარსკვლავებია;

ფარის მეორე მეოთხედში გამოხატულია ღერბი **ქართლისა**: მომწვანო, ცეცხლის მფრქვეველი მთა, შიგ ჯვარედინად გასობილ შავ ისრებით;

მესამე მეოთხედში **ყაბარდოს** ღერბია: ორ ჯვარედინად დაწყობილ ისარზე ძევს პატარა ორქოვანი ფარი, ზედ ნახევარ-მთვარეებია დახატული.

დიდი ფარის უკანასკნელ მეოთხედში **სომხეთის** ღერბია: მეწამულ ფერის ლომი; დაბოლოს ფარის კიდურზე **ჩერქეზთა** და მთიულთა მთავრების ღერბი ჰხატია: გაქანებულ მერანზე ზის ჩერქეზი, რომლის მარჯვენა ბეჭზე შავი შუბია";

საგულისხმოა, რომ რუსეთის საიმპერიო ძირითადი კანონები ჩერქეზეთის, ყაბარდოს და სომხეთის ღერბებს საქართველოს სამეფოს ღერბის ნაწილაკებად სახავენ; ცხადია, რომ აქაც, როგორც ყოველგან, ღერალდიკა მხოლოდ პოლიტიკური სინამდვილის სიმბოლოა, სახელდობრ, იმ ფაქტისა, რომ ჩერქეზები, ყაბარდოელები და სომხები საქართველოს მეფეთა სუვერენ ხელმწიფების მორჩილნი იყვნენ...

რუსეთის ძირითად კანონებში წარმოდგენილი ქართული ღერბი არსებითად განსხვავდება საქართველოს მეფეთა, ბაგრატიონთა დინასტიურ ღერბისაგან, რომელიც იყო ღერბი ქართლკახეთის უკანასკნელ მეფე გიორგი XII უბედურისა, და რომლის სახე ჰხატია იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონის II აკლდამაზედ, ტრაპიზონში.

ეს ღერბი[3]) წარმოადგენს ორ ლომის მიერ დაჭერილ ფარს, რომელსაც თავზედ სამეფო გვირგვინი ადგია; ფარის შუაგულში გამოხატულია მაცხოვრის კვართი; მარჯვენა კუთხეში ჰხატია სახელმწიფო ბურთი, სკიპტრა და მახვილი, მის ქვევით—საქართველოს მფარველი წმიდა გიორგი; მარცხენა კუთხეში ჰხატია სასწორი—ნიშანი სამეფო სიბრძნისა, მის ზევით კი—შურდული და ქნარი ურიათა მეფის დავითისა, რომლის ჩამომავალნი არიან ბაგრატიონნი.

დავითის ნათესაობითვე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სადღერბო ფარის ირგვლივ სწორედ დავითნია წარწერილი; სულ ორი ფსალმუნი აუღიათ ღერბისათვის ბაგრატიონებს, მაგრამ ისეთის გენიალობით ამოურჩევიათ, რომ მათში გამოიწურება საქართველოს მთელი ბედი:

— „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილიო, ამბობს პირველი ფსალმუნი—და ეს ხომ წამებულ საქართველოს წარსული და აწმყოა. მეორე ფსალმუნი კი მესიანისტურია: „და ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ ჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დასვა ტახტთა შენთაო"...

**გრ. ვეშაპელი.**

[2]) იქვე, დამატება I.

[3]) არქეოლოგიურ კომისიის აქტები ტ. I.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელი ცნობების მიხედვით სტრატეგიული მდგომარეობა ყველა ფრონტებზედ არსებითად არაფრით შეცვლილა. მთავარ დასავლეთის ფრონტზე ალაგ-ალაგ გერმანელებს კონტრ-იერიში მიაქვთ ფრანგებზე; მათი მიზანია ხელი შეუშალონ ფრანგებს ახალ პოზიციებზე გამაგრებას. ფრანგ-ინგლისელთა შეტევის გაგრძელებაზედ ჯერ კიდევ არაფერი ისმის. აღმოსავლეთ ფრონტის ოფიციალი ცნობა არაფერს იტყობინება გალიციის და ბუკოვინის შესახებ, სადაც როგორც ვიცით, სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა; კვლავ გაცხოველებულა რიგა-დვინის რაიონი; აქ გერმანელებს სამჯერ მიუტანიათ იერიში იკსკიულის სიმაგრეებზე, რომელიც დვინის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს; იერიშის დროს ეგრმანელებს მოშხამული გაზები უხმარიათ, მაგრამ უშედეგოდ.

რუმინეთიდან არავითარი ცნობა არ მოსულა, მხოლოდ რუსის შტაბი გვაცნობებს, რომ დობრუჯაში, შავი ზღვის პირ ქალაქ კონსტანცაზედ მტერს გადუფრენია და „ხოლერის ბაცილებით მოწამლული ნიორი" ჩამოუყრია...

კავკასიის ფრონტზედ, შტაბის ცნობით, არაფერი შესამჩნევი არ მომხდარა; არ ვიცით შეჩერდა ამას წინად რუსების მიერ დაწყებული შეტევა ზღვის პირა რაიონში, თუ იგი კვლავ სწარმოებს. სპარსეთში რამოდენიმე ბახტიარი ხანი შეერთებია ოსმალეთის ჯარს; კერმანშაჰში კი ოსმალებს 5000 მებრძოლისაგან შემდგარი რაზმი შეუიარაღებიათ;

ბალკანეთში ვარდარის მარჯვენა ნაპირზე ბულგარელთა და მოკავშირეთა შორის ბრძოლა გაჩაღებულა.

საბერძნეთის კრიზისის ბოლო ახლოვდება, მოკავშირეთა ფლოტის ადმირალს ულტიმატუმი წარუდგენია, რომლის ძალით საბერძნეთის ფლოტის საუკეთესო გემებს: „ავეროვს", „ლემნოსს" და „კილკისს" იარაღი უნდა აეყაროს, მეზღვაურთა რიცხვი ერთი სამად უნდა შემცირდეს და აგრეთვე უნდა ათხარონ ზღვის პირის სიმაგრენი; ორი მათგანი კი უმნიშვნელოვანესი, უნდა პირდა-პირ გადაეცეს მოკავშირეთ.

თუ რას უპასუხებს საბერძნეთი ამ ულტიმატუმზე ჯერ გამოურკვეველია, მხოლოდ საგულისხმოა დღესვე მოსული ცნობა, რომ გერმანოფილ რეზერვისტთა ლიგას პირდაპირი ტერორი დაუწყვია.

წყალქვეშათა ბრძოლა კვლავ გრძელდება: დაუღუპიათ ინგლისელთა დიდი გემი „ასტორია".

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**30 ენკენისთვე**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. იკსკულის ხიდისყურის სიმაგრეებთან, 25 ენკენისთვეს, ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე, თხრილებში ჩვენს ჯარისკაცებს მოესმათ ხმაურობა და სისინი გერმანელების მახლობელ თხრილებიდან და თანაც მოშხამულ გაზის სუნი იგრძნეს. მოშხამული გაზი ისეთის სისწრაფით გამოაქანეს, რომ ბევრმა ჯარისკაცმა ნიღაბის გაკეთებაც ვერ მოასწრო. მეტელეფონე კიტაევი უნიღაბოდ მყოფმა ბატალიონის უფროსს აცნობა ეს ამბავი, მერე გაქანდა თხრილებისაკენ და გადასძახა „გაზი, ნიღაბები!" და იქვე უსულოდ დაეცა. გერმანელებმა გაზის ტალღას უმარჯვეს და თხრილების ზურგით მდებარე ადგილებს მოშხამული გაზით გატენილი ყუმბარები დაუშინეს, მდ. დვინის მარჯვენა ნაპირას. ჩვენმა ჯარისკაცებმა ნიღბების აფარება მოასწრეს და მტერს დაუშინეს თოფები, ტყვიისმფრქვეველი და ყუმბარის მტყორცნელები. თან სუბუქი ზარბაზნებიც დაუშინეს. მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა. დიდის ზარალით მოვიგერიეთ. ნახევარ საათის შემდეგ კიდევ გამოგვ.ქროლეს მოშხამული გაზი და იერიშითაც წამოვიდნენ, ჩვენ მოვიგერიეთ. 6 საათი იქნება, რომ კვლავ მოჰმართეს ჩვენსკენ მოშხამული გაზი და უშედეგო იერიშიც მოიტანეს. იკსკულის მიდამოების დამცველებმა სახელოვანად შეინარჩუნეს თავისი ადგილები.

მდ. ბოლდუეკაზე, მდ. მელიავცეს მიდამოებში, მოპირდაპირეს ხიდი გაედო. ჩვენმა მზვერავებმა მიაგნეს ხიდს და ზარბაზნებით დავანგრიეთ.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

დობრუჯა. მტრის ჰაერის ესკადრამ კონსტანცს დააყარა ყუმბარები, მოწამლული კანფეტები, ხოლერის ბაცილებიანი ნიორი და მოშხამული ისრები.

**29 ენკენისთვე.**

**ლონდონი.** ბრძოლის ხაზზე მტრის მფრინავები ღამე დიდად ამოქმედდნენ. მოპირდაპირემ აგვიფეთქა ნაღმი ნევილ-სენვაასტის ჩრდილოეთით. არავინ უმსხვერპლია.

**სოლუნი.** ბარაკლისა და ჯომას შუა მტერი მოქმედებას ანვითარებს. ჩვენ ავიღეთ ტოპოლოვი და პროსენიკი.

ვარდარის მარჯვენა ნაპირას მოკავშირეებმა მიადალას მიდამოებში 500 ადლით წინ წაიწიეს. ბრძოლა გრძელდება.

გენერალი სარაილი ვენიზელოსთან სადარბაზოდ იყო.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა 28 ენკ. (დაგვიანებულია). გერმანელების საფრენებმა ჟერარდმერსა და ბელფორს ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ უნაყოფოდ.

შორს მსროლელმა ზარბაზნებმა ყუმბარები ესროლეს ბელფორს, მაგრამ უშედეგოდ.

გუშინ ვერდენის მიდამოებში ჩვენს მფრინავებს მოპირდაპირის მფრინავებთან თხუთმეტჯერ მოუხდათ ბრძოლა, სომას სამხრეთით—თოთხმეტჯერ და სომას ჩრდილოეთით—44 ჯერ. მტრის 4 საფრენი ჩამოვაგდეთ. 6 საფრენი ისე დავაზიანეთ, რომ იძულებული გავხადეთ თავისიანების მხარეს დაშვებულიყვნენ.

**სტოკჰოლმი.** კიოლნიდან იტყობინებიან: მთავრობა რეიხსტაგს მოსთხოვს 12 მილიარდ მარკის გადადებას.

**ათინა.** საბერძნეთისაგან საფრანგეთი სესხსა ღებულობს. სახალხო ბანკმა ამ სესხისათვის 10 მილიონი ფრანკი გადასდო.

**თეირანი.** ცნობა მოვიდა: ქერმანშაჰის და ქამადანის მიდამოებში მომქმედ ოსმალებს შეუერთდა ბახტიართა რამდენიმე ხანი, მათ შორის ემირმოლახამის, ალარ-მასუდის, ჩირაღალიხანის, რიზა-ჯუზანის თემთა წარმომადგენელნი და ისპაჰანის სასულიერო წოდების სათავეში მდგომი ალაყურული. ქერმანშაჰში ყოფნის დროს ოსმალებს დაურაზმიათ და გაუწვრთნიათ 5 ათასი სპარსელი, რათა შუაგულ სპარსეთისაკენ გაესტუმრებინათ ადგილობრივ თემების ასამხედრებლად, თუ ოსმალეთი სპარსეთში აქტიურ მოქმედებას დაიწყებდნენ. ეს რაზმები ეხლა ეროვნულ ჟანდარმერიის სახელწოდებით ნიზამუს-სალტანეს ხელქვეითაა, რომელიც 1915 წ. გერმანელებს მიეკედლა და მეორე მეთაურად არის ქერმანშაჰის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც სათავეში უდგას ეროვნულ მთავრობას, ესე იგი ყუმის კომიტეტის შემადგენლობას.

**ათინა.** მარქაფა ჯარისკაცთა ლიგა, გერმანელების მიერ შეიარაღებული, პროვინციებს შიშის ზარსა სცემს. ათინის მთავრობა განგებ თვალს არიდებს ლიგის მოქმედებას. თუმცა მოკავშირეებმა საბერძნეთს მოსთხოვეს სრულებით გაეუქმებინა ეს ლიგა, მარამ მათ პატრისსა, ზანტსა, ლარისსა და ნავლისში დიდი და მქუხარე მანიფესტაციები მოახდინეს და მოითხოვდნენ, საბერძნეთი ომში არ უნდა ჩაერიოსო. მანიფესტანტები შეურაცხყოფდნენ მოკავშირეთა მომხრე ლიბერალებს და სირცხვილში აგდებდნენ. თანინსა და ეპირის სხვა ქალაქებში გერმანელების მფრინავებმა პროკლამაციები ჩამოჰყარეს, სადაც ნათქვამია: ორი კვირის შემდეგ 200 ათასი ავსტრია-გერმანელი მეომარი მაკედონიაში მოვა, რათა საბერძნეთი მოკავშირეთა ხელიდან იხსნასო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ლიბერალმა გოლტმა ქარცეცხლში გაატარა ლლოიდ-ჯორჯის საუბარი ამერიკულ გაზეთის თანამშრომელთან, როდესაც მას განუცხადებია, ზავის ჩამოგდება შეუძლებელიაო. ლლოიდ ჯორჯმა გოლტს უპასუხა: „ზავის თაობაზე ვისიმე ჩარევა საქმეში იქნებოდა გერმანეთის გამარჯვება და ჩვენი სამხედრო ძალის განადგურებაო. როგორც სამხედრო მინისტრს, უფლება მქონდა ჩემი აზრი გამომეთქვა ამ საკითხზე და არც ერთს ჩემს ნათქვამ სიტყვაზე უკან არ დავიწევ. საჭირო იყო მეთქვა ის, რაც ვთქვი, ხოლო ამისი საფუძველი თავის დროზე გამოირკვევაო. ჩემი საუბრის დროს გამოვთქვი აზრი მთელი სამხედრო კომიტეტისაო.

**პარიზი.** სალამოს ოფ. ცნობა. მახლობელი აღმოსავლეთი. სალონიკის ჯარმა ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ინგლისელებმა რკინის გზა გადასერეს და პროსენიკი აიღეს. შუაგულში აიღეს გევგელის დასავლეთით მდებარე მოწინავე სანგრები.

მარცხენა ფრთაზე ბულგარელებმა მაშველი ჯარი მიიღეს და დიდის თავგანწირვით გაუმართეს სერბიელებს ბრძოლა. მოკავშირეებმა 18—27 ენკენისთვემდე 2,616 დაატყვევეს.

**ათინა.** საბერძნეთის ახალ სამინისტროში მოჰყვნენ: უნივერსიტეტის პროფესორი ლამბროსი მინისტრ-პრეზიდენტად და განათლების მინისტრად, სოფიაში დესპანად ნამყოფი ზალაკოსტა გარეშე საქმეთა მინისტრად, დამიანოსი საზღვაო, ანკროპულოსი გზათა, ეკონომიდესი ეროვნული ეკონომიისა. ახალი სამინისტრო ხვალ მიიღებს ფიცს მეფის წინაშე. ეს სამინისტრო პირწმინდად საქმიანი სამინისტროა.

**ლონდონი.** ათინიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: მოკავშირეებმა საბერძნეთს ასეთი ულტიმატუმი წარუდგინეს: შუაგულ საბერძნეთისაკენ სასროლი მასალისა და არტილერიის გზავნა, საბერძნეთის ჯარის გადაყვან-გადმოყვანა და მარქაფა ჯარის ლიგის დაუცხრომელი მოქმედება გვაფიქრებინებს, რომ მოსალოდნელია მშვიდობიანობის დარღვევა ამ ადგილას, სადაც მოკავშირეთა ლუზა ჩაშვებული ფლოტი სდგას. ეს კი ბალკანეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარს საფრთხეს განუმზადებს. ინგლისის ადმირალი საბერძნეთისაგან მოითხოვს გემ „ლემნოს"-ის, „კილკის"-ის და „ავეროს"-ის იარაღის აყრას, ზღვის სანაპიროებზე მდებარე სიმაგრეების დანგრევას და მოკავშირეთა ხელში გადაცემას იმ ორი სიმაგრისას, რომლებიც მოკავშირეთა ფლოტის სადგომ ნავთსადგურებს გადაჰყურებს. ადმირალი მოითხოვს აგრეთვე, რომ „კილკის"-ის, ავეროვ"-ის და „ლემნის"-ის მეზღვაურთა რაოდენობა გაანასამედონ.

## ბრძოლა ზღვაზე

(პეტ. დეპ. სააგ.)

**ქრისტიანია**: მარსელისაკენ მიმავალი ნორვეგიის გემი „ბირკ"-ი ხმელთაშუა ზღვაში წყალქვეშამ დაღუპა.

ნორვეგიის სანაპიროებთან დაღუპეს ინგლისის გემი „ასტირია": ზედ მყოფთაგან 16 კაცი გადაარჩინეს. ამბობენ, რადგანაც „ასტირია" დიდი გემი იყო, ალბად, ზედ 16-ზე მეტი მეზღვაური იქნებოდაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ასაფეთქებელი ხლართები.**

გერმანელებს კიდევ გამოუგონიათ ბრძოლის ახალი საშუალება—მავთულის ხლართებზე მიუბამთ ყუმბარები, რომლებიც ერთი მეორეზეა გადაბმული მავთულითვე, ხოლო მავთულის წვერი სანგრებამდეა მიტანილი. ყუმბარები მიწაზე აწყვია და ან ბალახები ჰფარავს, ან პატარა ჩირგვები. საკმარისია მავთულის ხლართს მიეკაროს ვინმე, რომ ყუმბარები ერთბაშად იფეთქებს მთელ სიგრძეზე. ყუმბარები ექვსი ნაბიჯის მოშორებით აწყვია ერთი მეორისაგან.

**კურლიანდიაში.**

გერმანელები განუწყვეტლივ აახლებენ ძველს სიმაგრეებს და ახლებსაც აგებენ. ძველ სიმაგრეებზე ღამ-ღამით მუშაობენ, ახლების აგებაზე კი დღისით მუშაობენ. კურლიანდიის ზურგს უკან დღე-ღამე მუშაობენ სიმაგრეების აგებაზე. კურლიანდიაში ჯერ-ჯერობით ხუთი მეტისმეტად გამაგრებული ბრძოლის ხაზი დაუმზადებიათ. მთელი კურლიანდიის ხალხი სამუშაოზე ჰყავთ გაყვანილი. განსაკუთრებით საგულისგულოდ ამაგრებს მოპირდაპირე მდ. ვენტის (ვინავა) ხაზს.

კურლიანდიაში მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. ორთქლის სალეწი მანქანები დღე-ღამე მუშაობენ. ხორბალს სწრაფად ეზიდებიან ლიბავისა და მემელის გზით გერმანეთში. ნაყოფიერი ადგილები გერმანელებს მანქანების საშუალებით დაუმუშავებიათ. მაგრამ გამუდმებულ წვიმებს და ღამღამე ყინვას წაუხდენია. (უ. რ.).

**საბერძნეთში**

კავალას მოკავშირე სახელმწიფოთა ფლოტი ზარბაზნებს უშენს. დაანგრიეს ორი ციხე-ბურჯი: კინალი და კალამიტა. მოკავშირეთა მფრინავებმა კავალის მიდამოში დაბანაკებულ ბულგარელებს დიდძალი ყუმბარები დაუშინეს.

—

ვენიზელოსს განზრახვა აქვს თურმე, დეპუტატთა პალატის მეფის მიერ 1915 წ. დათხოვნა უკანონოდ გამოაცხადოს, სალონიკში თავი მოუყაროს მთელს შემადგენლობას პალატისას, რომლის უმრავლესობაც ვენიზელოსის მომხრეა. მერე შეადგინოს საპარლამენტო მთავრობა, რომელიც ომს გამოუცხადებს ბულგარეთს. ვენიზელოსის ასეთი გეგმა მოკავშირეებმა მოიწონეს.

ვენიზელოსს კიდევ მიემხრო საბერძნეთში დიდად გავლენიანი ადმირალი მიაულისი.

ლონდონიდან ცნობა: მეფე კონსტანტინეს განკარგულება მოუხდენია, რაც კი ტატოის ციხე-დარბაზში ძვირფასეულობაა, ჩაალაგეთო. მეფე ალბად სადმე წასვლას აპირებს.

ვენიზელოსი იმისათვის წავიდა კრიტოსის კუნძულზე, რომ მემარცხენე ნაციონალისტების უკიდურესი მისწრაფებანი ცოტათი მაინც დააცხროსო.

**რუმინეთში**

დობრუჯაში მაკენზენმა ბრძოლის ხაზი 60 ვერსზე დააყენა, მაგრამ მოკავშირეები ხაზის შუაგულს მიაწვნენ, 20 ვერსზე შეზნიქეს და ეხლა ბრძოლის ხაზი 80 ვერსზე გაჭიმულ ტომარას ემსგავსება. „ბ. ვ.-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით ამ ასპარეზზე ბულგარელებს დიდი ზარალი მოსდით. ერთ-ერთ პოლკიდან, ერთი პატარა ბატალიონი ღა დარჩაო. ბულგარელების პოლკში 4 ბატალიონია, ბატალიონში 12 აფიცერი და 1063 ჯარისკაცი. იმ ერთ პოლკიდან, სჩანს, სამი მეოთხედი დაჰკლებიათ. შუმსკის აზრით, ბულგარეთი ვერ გაუძლებს ამდენ ზარალს, რადგანაც იგი უკვე ზედიზედ მესამე ომითაა დასუსტებული და ხალხი შეთხელებული ჰყავს და მეტად გაუძნელდება დანაკლისის შევსება.

ფალკენჰეიმი ჩრდილოეთიდან აწვება რუმინელებს ვალახიის სამხრეთ ნაწილში ოთხ ადგილას, რუსები და რუმინელები კი აწვებიან მოპირდაპირეს დობრუჯაში.

დიმიტრიევი სწერს: რუსები გალიჩს აწვებიან და ავსტრია-გერმანელების ჯარს ადგილიდან დაძვრის საშუალებას უსპობენ; მცირე აზიაში მოკავშირეთა ჯარის მოქმედებას მიზნად დაუსახავს ოსმალთა დაბანდება, რომ გერმანელებს ბალკანეთში ვეღარ მიაშველოს ჯარი; სარაილის ჯარი მონასტირში აბანდებს ბულგარელებს და დუნაის ასპარეზზე გადაყვანის სახსარს უსპობს. ცალ-ცალკე ყოველ ამ ასპარეზთაგანს თავისი ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ კი სამივ ასპარეზზე მოქმედება იქით არის მიმართული, რომ მტრის გარშემო რკალი თან და თან მისწუროს. ეს იმავე დროს იქნება რუმინეთის დახსნაც. სარაილმა მაკედონიის ასპარეზზე სწორედ იმისთვის დაიწყო შეტევა და ბრძოლის პირის გაგრძელებასაც კი არ მოერიდა, რომ ჩაება ბულგარელები და დუნაისაკენ ჯარის გადაყვანა შეეფერხებინა.

მაკედონიის ასპარეზზე ბრძოლის ხაზი თითქმის გასწორდა და მონასტირს მიუახლოვდა. მონასტირის მისავალ გზებს ბულგარელები სწრაფად ამაგრებენ.

ერთად-ერთი უფრო დამაფიქრებელი ასპარეზი სოლუნის მიდამოები იყო, სადაც მოკავშირეთა ჯარის ზურგით მყოფი საბერძნეთის ჯარი ცოტა რამ საგონებელში აგდებდა მოკავშირეთ, მაგრამ ბოლო დროს სანუგეშო ოფიციალი ცნობა მოვიდა: „სალონიკის ასპარეზზე მდგომარეობა საუცხოვოაო".

## უკანასკნელი დეპეშები

**სატახტო გაზეთების ცნობით საბერძნეთის ახალი მინისტრ პრემიერი ლამბროსი გერმანელების მომხრეა. მოკავშირეთა ელჩები მასთან არავითარ საქმეს არ დაიჭერენო.**

—

**პარიზიდან იტყობინებიან: გერმანელებმა შემოიღეს ახალი შხამიანი ბოლი, რომელიც თვალით არ სჩანს. ეს ბოლი დიდ ზარალს აყენებს, რადგან ჯარი მოუმზადებელი ჰხვდებაო.**

—

**„ბ. ვედ."-ი სწერს: საეჭვო არ არის, რომ გერმანეთ-ავსტრიას ამ ომის დროს დიდი ზარალი მოუვიდა. კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობების მიხედვით ამ სახელმწიფოებს (დაჭრილი, მოკლული თუ უკვალოთ დაკარგული) დაჰკლებია 2,033,800 მეომარი. გერმანეთს ამ ჟამად კიდევ ჰყოლია სულ 7 მილიონი მებრძოლი.**

—

**„რუს. სლოვოს" ცნობით ახალმა მინისტრმა პროტოპოპოვმა პოლიციაში მოსახდენ რეფორმის პროექტს ხელი მოაწერაო. ამ პროექტის მიხედვით პოლიცმეისტერს ს შუალო სასწავლებლის ცენზი უნდა ჰქონდეს, მაძებარ პოლიციის უფროს უმაღლეს სასწავლებლისა. ჯამაგირები პოლიციელებს ერთი-ორად ემატებათ. ეს რეფორმა მხოლოდ ევროპიულ რუსეთს შეეხება.**

—

**უმაღლესის ბრძანებით ბალტიის ზღვის ფლოტის ადმირალი კანინი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა. ხოლო მის ადგილზე დაინიშნა ვიცე-ადმირალი ნეპენინი.**

## გასაყიდი სიმინდი

(დეპეშა)

**რომელსამე დაწესებულებას, სოფლის კოოპერატივებს თუ კერძოდ სოფლებს თუ ჰსურთ შეიძინონ ბესარაბიის პირველ ხარისხოვანი სიმინდი, დაეშურონ დ.ხაკვეთად, რათა გადმოტვირთონ ვაგონებიდან, რაც შესამჩნევად უფრო იაფია (1 მ. 15 კ.) ვიდრე საწყობიდან გამოტანის დროს. ფული უნდა გაეგზავნოს იასონ ბახვასძე გ.ბილაიას სახელმწიფო ბანკში ან და ფოსტით. შეიძლება გაიგზავნოს ფასდადებითაც. მისამართი დეპეშისათვის: ბათომი „ორიენტალ" გაბილაიას.**

**უქმეების გამო გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 4 ღვინობისთვეს.**

## ახალი ამბავი

**სახახლეში.**

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგნენ დიდ ბრიტანიის კონსული სგივენსი, რომელიც ეხლახან დაინიშნა კავკასიის კონსულად და ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი პროფესორი თ. ვ. ბლაგოვიდოვი.

◆ **მეფის ნაცვალმა და მათმა მეუღლემ** სასტუმრო „ორიანტში" ინახულეს გრაფი ვ. ნ. კოკოვცევი მეუღლით.

**ქართული დაწესებულებანი**

◆ **ფულის გადადება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა მისცეს: 1) „განათლების" საზოგადოებას 6000 მან. სახელსაქმო სკოლის დასაარსებლად, 2) ქართველ ქალთა სახელსაქმო სკოლას 1000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს ომისაგან დაზარალებულ ოჯახებიდან მოსიარულე მოსწავლე ქალებს, 3) 3,000 მანეთი საზოგადოების ბათომის განყოფილებას მოძრავ სამკურნალო რაზმის შესადგენად და 4) 300 მან. ავადმყოფ მსახიობ ვალ. გუნიას სასარგებლოდ.

◆ **მორიგი კრება** დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისა. განსახილველია ფრიად საჩქარო საგნები: პროექტი საპენსიო კასის დაარსებისა და საზოგადო კრების დღის დანიშვნა და სხვ.

◆ **სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ 29 ენკენისთვეს მოისმინა სიტყვიერი მოხსენება კომისიისა, რომელიც საზოგადოების საგარეჯოს მამულის დასათვალიერებლად იყო წასული. კომისიის მოხსენებით დიდი გასაჭირია მუშა ხელის მხრივ და ეს შეაფერხებს მამულის დამუშავებას. კომისიას აგრეთვე დაუთვალიერებია სახელსაქმო სკოლა, სადაც სწავლება რიგიანად სწარმოებს. წერილობით მოხსენებას კომისია ჩქარა წარუდგენს საბჭოს. ჟურნალ „მოსავალი"-ს სარედაქციო კოლეგიაში საბჭომ თავის მხრივ აირჩია საბჭოს წევრი ან. გრიგოლია.

**მთავრობის დაწესებულებანი.**

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრმა** თანახმად უმაღლესი ბრძანებისა განკარგულება მოახდინა, რომ 5 ღვინობისთვეს მემკვიდრე ცესარევიჩის სახელწოდების დღეს და 21 ღვინობისთვეს ხელმწიფის ტახტზე ასვლის დღეს მისალოცი ტელეგრამები არ გაიგზავნოს, ვინაიდან ტელეგრაფი ისედაც დატვირთულია დეპეშებით.

◆ **გრაფი ვ. ნ. კოკოვცევი** გუშინ სალამოს მატარებლით ერევნიდან დაბრუნებისას გაემგზავრა ბორჯომს.

◆ **სამრეწველო სკოლების** საიმპერიო მეთვალყურის ამხანაგი ვ. ტ. გიორგიევსკი გაემგზავრა ბაქოს.

◆ **ომში გაწვეულთა შეღავათის** მიმცემ სამაზრო კომიტეტის სხდომა 3 ღვინობისთვეს არის დანიშნული თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით.

**ქალაქის დაწესებულებანი**

◆ **შეღავათის მიცემა.** ქალაქის შეღავათის მიმცემმა კომიტეტმა 29 ენკენისთვეს განიხილა 20 დაწესებულების შუამდგომლობა მათ მოსამსახურეთათვის შეღავათის მიცემის შესახებ. კომიტეტმა დაადგინა 3 თვით განთავისუფლებულ იქმნან სამხედრო ბეგრისაგან (თეთრ ბილეთიანები) 1) საელექტრონო სადგურის „კულონის" 2 მოსამსახურე, 2) ბ-ნ იაშვილის მექანიკურ სახელოსნოს 1 მოსამსახურე, 3) დაჭრილ ჯარის კაცების მომვლელ ქალაქის კომიტეტის 14 მოსამსახურე, 4) კავკასიის სახელსაქმო კომიტეტის სახელოსნოს 2 მოსამსახურე, 5) საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის 1 მოსამსახურე, 6) ბოტანიკურ-

ბის განზომ კომიტეტის 2 მოსამსახურე, 7) წითელ ჯვრის საზოგადოებისა 1 მოსამსახური, 8) შინაგანი ავთიაქის 1 მოსამსახური, 9) ვენის ავთიაქისა 1, 10) [illegible] სასადილოსი 1, 11) [illegible] ქარხნისა 1, 12) [illegible] ქარხნის 1, 13) [illegible] 1, 14) [illegible] ქარხნისა 1 და 15) [illegible] ქარხნის 3 კაცი. [illegible] ჯარის [illegible] ადგილას.

◆ **ქალაქის** [illegible] 3 ღვინობისთვე [illegible] საქალაქო ტრამვაის [illegible] ტრამ- [illegible] შესახებ. [illegible] იქმნება [illegible] ტრამ- [illegible] სამო- [illegible]

◆ **ქალაქის გამგეობამ** გადასწყვიტა ჯერჯერობით ისევ დაანარჩუნოს სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის მოსამსახურეთა გაძლიერებული შტატი.

**ხხვა და ხხვა ამბები.**

◆ **ხვეტი ცხოვლობა.** დღეს, სვეტი-ცხოვლობის დღეს, მცხეთის ტაძარში წირვას შეასრულებს საქართველოს ეგსარხოსი პლატონი ეპისკოპოზ ანტონის თანამსახურობით. დიდი ხალხი ემზადება მცხეთაში წასასვლელად.

◆ **გაჭირვებული ოჯახი.** მივაქცევთ ქველმოქმედთა ყურადღებას ყოვლად უნუგეშო მდგომარეობას ერთის ოჯახისას, რომელიც შესდგება ავადმყოფ მამიდისა და ოთხ მის მცირე წლოვან ძმისწულისაგან. მოკლებულნი არიან ყოველ-გვარ სახსარს ცხოვრებისას. დგანან ვაკეში ერთს ნოტიო, ბნელ და ცივ სარდაფში. ბავშვები სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობენ და ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალნი დადიან. მივმართავთ გულშემატკივარ საზოგადოებას დავსთხოვთ არ დაიშუროს თავისი წვლილი, ვსთხოვთ დახმარება ქართულ გაზეთების რედაქციებში გამოიგზავნოს **მარიამ ზედგინიძის** ასულის გადასაცემად.

◆ **რედაქციამ მიიღო** ნიკო თავდგირიძის წერილები: „ჩვენი ახალთაობის უკუღმართ ცხოვრების ძირითადი მიზეზები.“ წიგნაკი გამოცემულია ქალაქ სოხუმს და ღირს 20 კ.

◆ **სასულიერო სემინარიაში.** მოვიდა უქაზი დეკ. კ. კეკელიძის დანიშვნის შესახებ. გარდა ინსპექტორობისა იგი დაინიშნა წევრად ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორისა.

**ეპ. ანტონის ავადმყოფობა.** ყოვ. სამღვდელო ანტონი ეპ. გორისა ამ ჟამად ავად არის. სწამლობს ექიმი ვირსალაძე.

◆ **ფულის მოგროვება მცხეთაში.** დღეს 1 ღვინობისთვეს, ქ. საქ. საზ. გამგეობა მცხეთაში ყულაბებით ფულს მოაგროვებს, თვის საშუალებათა გასაძლიერებლად. ყულაბებს როგორც მცხეთელნი ისე თბილისიდან ჩასულნი მანდილოსანნი ქალნი ჩამოატარებენ.

◆ **ცხენების რეკვიზიცია კავკასიაში** აღარ მოხდება. ცხენებს ამიერიდან ნებაყოფლობით შეისყიდიან. მინიმალური ფასი ცხენზე დაწესდა 300 მანეთი.

◆ **მუშათა სახადილოს** დასაარსებლად საგანგებო თათბირმა, რომელიც საქარხნო ინსპექტორის სუშჩევსკის თავჯდომარეობით შესდგა აირჩია საგანგებო კომისია 6 კაცისაგან, მათ შორის 1 ქართველია კ. ი. მესხიშვილი.

◆ **ხილის მაზანდა.** მეხილეთა ამხანაგობის „ქართლის“ ცნობით 29 და 30 ენკენისთვეს თბილისის ბაზარზედ ხილი შემდეგს ფასებში იყიდებოდა: **ვაშლი:** შაფრანი ფუთი 4 მან.—6 მ., კანადის რენეტი (ანტონოვკა) 4 მ.—6 მან., ლიმონის ვაშლი—3 მ. 50 კ.—5 მან., როდი—4 მ.—6 მ., ბელფლორი—4 მან.—8 მან., წითელი კალვილი—4 მ.—6 მან.; **მსხალი:** დუშესი ფუთი 5 მან.—6 მან., ბერე-ბოსკი (ალექსანდრესი)—7 მან.—10 მან., ადგილობრ. ჯიშ. მსხლები—3 მ.—4 მ.; **ატამი:** ფუთი 8 მ.—10 მან.; **ყურძენი** ადგილობ. ფუთი 6 მ.—8 მან.

◆ **ქართველები ვარშავის უნივერსიტეტში.** როგორც როსტოვიდან გვატყობინებენ ვარშავის უნივერსიტეტი, რომელიც გადმოტანილია როსტოვში, წელს დაამთავრა სწავლა საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტზე მაქსიმე ბერძნიშვილმა, ხოლო იურიდიული ფაკულტეტი გრ. გეორგაძემ და ანდრია ახმეტელმა.

**თელავი.**

— კვლავ თავი იჩინა ხურდა ფულის უქონლობამ-რის მოწყალებითაც უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან აქაური მცხოვრებნი. მთელი ბაზარი რომ დაიარო, ათ შაურს არავინ დაგიხურდავებს, ბაზარში რის ყიდვაც უნდა კაცს თუ ხურდა არა აქვს ვერაფერს იყიდის.

— გირ. წითელი პური $7^1/_2$ კ. თეთრი 10 კ., (ფურნეში 9 კ.,) ძროხის ხორცი 25 კ., ცხვრისა 30 კ., წიწილა 50 კ., ვარია 80—1 მ. დედალი 2 მ., კარტოფილი ფუთი 2 მან. 60 კ. 2 მ., 80 კ., ნიორი გირ. 20 კ., გირ. ყურძენი 25—28 კ., კომბოსტო ფუთი 1 მ. 20 კ., პამიდორი გირ. 7 კ., არ იშოვება: ყველი, ერბო, შაქარი და ზეთი.

— კიდევ, წითელი და ლურჯ-ბილეთიანების გაწვევის გამო ზოგს აღუკრძალეს და დაუბეჭდეს ღვინის დუქან-სარდაფები, ზოგს-კი ნება მისცეს.

**დ. ხოჩი.**

— აქ გამოაკრეს ქუჩებში განცხადება სადაც სწერია: გაპარულ ჯარის კაცთა წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომებიო.

# ვალერიან გუნია

რამდენიმე კვირა გავიდა მის შემდეგ, რაც ვალერიან გუნია ავად არის. არა ერთი და ორი წერილი მოუთავსებია ჩვენს, პრესას ამის შესახებ; ყველანი მოუთმენლად ველით მის განკურნებას და გვწამს, რომ ეს ასეც იქნება. მაგრამ სურვილი არა კმარა, საჭიროა მისი გამხნევება, უფრო კი მისი პირობების შეცვლა.

ერთის მხრივ ავადმყოფობა, მეორეთი კი სულიერი ტანჯვა, აი რა გარემოება უშლის მის სხეულს შეებრძოლოს სნეულებას. საჭიროა ადამიანმა დაათვალიეროს ის დაბალ ჭერიანი ოთახი, რომელშიაც ჩვენს ავადმყოფ ვალერიანს უხდება ცხოვრება, რომ დარწმუნდეს თუ იმ გვარ პირობებში რა ძნელია ავადმყოფის წამლობა.

„სიკვდილისა არ მეშინიან, დარდად ჩამყვება უზრუნველყოფილ ოჯახის ბედიო“. აი, რა მწარე სიტყვები წარმოსთქვა ვალერიანმა საუბრის დროს!

სიკვდილს რა ხელი აქვს ძვირფას ვალერიანთან, მხოლოდ ეს სიტყვები ნათელ ჰყოფს იმ მდგომარეობას, როგორ პირობებშიაც უხდება მას წამლობა.

საჭიროა საზოგადოებამ მალე მიაქციოს ყურადღება გუნიას მდგომარეობას.

მასთან ექიმები კვლავ დაიარებიან. 29 ენკენ. საღამოს 9 საათზე ექიმს გედევანიშვილს და გომართელს უნახავთ. ჰფიქრობდნენ გედევანიშვილის სამკურნალოში გადაყვანას და ელექტრონის საშუალებით სისხლის შეჩერებას, მაგრამ როგორც გამოეკვლიათ გულის სისუტე უშლის ხელს. სისხლის შეჩერებას ისევ წამლობით ფიქრობენ, ვიდრე არ მოღონიერდება, რადგან დიდი ოპერაციის გაკეთება შეუძლებლად მიაჩნიათ.

**ჩ. კაპანაძე.**

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად ვსთხოვ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ადგილი დაუთმოს თავის გაზეთში ჩემს იძულებითს განმარტებას. საქმე იმაშია, რომ „სახალხო გაზეთი“ ბრალს მდებს, ვითომც მე ვიყო მიზეზი, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ბინა ვერ გამოუნახავს რათა წარმოდგენების სეზონი დაიწყოს. საოცარი და გაუგებარი ამბავი თუ გნებავთ ეს არის. დრამატიული საზოგადოების გამგეობა ზაფხულობით საავარაკო ადგილებში დასეირნობს და როცა სეზონის დაწყების დრო უდგება მაშინ მობრძანდება ხოლმე ტფილისში. რა თქმა უნდა ამ დროსათვის ყველა დაწესებულებას თავისთვის აქვს საქმე გამოწყობილი, საზოგადოება ბინას ვერსად შოულობს და გაზეთი კი მე მიკიჟინებს—ეს თავ. მიხეილ ჭავჭავაძის ბრალიაო. ამაზე მეტი უსამართლობა შეიძლება? მე, ბატონებო, მაბარია კლუბის საქმე. აბა მეც რომ მთელი საბჭოთი ერთად საავარაკოდ წავბძანებულიყავი, მიმეტოვებია საზამთრო შენობა მტვერსა და მინგრეულ-მონგრეულ მდგომარეობაში, აბა მიბრძანეთ, ეხლა საზამთრო სეზონისათვის რას ემგვანებოდა ჩვენი მდგომარეობა. ეს სხვათა შორის. „სახალხო გაზეთი“ თავის მეთაურში (იხ. „სახ. გაზ.“-თის მე-684 №) ამბობს:

„თავ. მიხეილ ჭავჭავაძემ ქართულ თეატრის ნანგრევებზე მოიკალათაო, რომელსაც უხამსო და ქუჩური ოპერეტისათვის უფრო შესტკივა გულიო, ვიდრე ქართული დრამატიული საზოგადოებისითვისაო“? ასეთს ჩემს ბრალმდებელს ან ჩემი პირადობა აქვს სახეში მე გამწიხლოს სრულიად დაუმსახურებლად ან და საქმის ვითარებისა სრულიად არა ესმის რა და უსაფუძვლოდ ცილსა მწამებს. ჯერ კიდევ შარშან გამოირკვა საკითხი თეატრის ამ ნანგრევების შესახებ, საზოგადოება ჩემის განმარტებით მაშინ დაკმაყოფილდა და არ მესმის ხელმეორედ გაზეთი თავიდან რაღად იწყობს საქმეს. მკითხველებმა იციან, რომ თეატრის ნანგრევები კლუბმა დაიქირავა; მე როგორც კლუბის ინტერესების დამცველმა საბჭოსთან ერთად ამ ნანგრევებზე კლუბის საჭიროებისათვის პატარა თეატრი მოვაწყე. ეს იყო ნება და სურვილი კლუბის ოთხასი წევრისა და აბა, მიბრძანეთ, რა შუაში ვარ მე, როგორც თავ. ჭავჭავაძე. სადა სჩანს ჩემი მოვალეობა? ასეთი გაბერილის და უცნაურის ბრალდებით რად გინდათ ადამიანს ენერგია მოუკლათ, არ ვიცი, ღმერთმანი. რაც შეეხება ოპერეტისათაის მეტ გულ შემატკივრობას, ესეც სრულიად გაუგებრობაა და, აი, რატომ: კლუბში გარდა კლუბის წევრებისა, მრავალი გარეშე ხალხი დაიარება და კლუბის, მატერიალური და სხვა ინტერესი მოითხოვს ყოველკვირეული პროგრამა სხვა და სხვა ნაირი იყოს, რომ ხალხს ყველანაირი გასართობი მივაწოდოთ: ქართული და რუსული წარმოდგენები, ოპერეტი, ოპერა, სიმფონიური კონცერტები და სხვა. წელიწადში კლუბში შესასვლელი ფული 50,000 მანეთამდე მარტო სტუმრებისაგან შემოდის. ეს სტუმრები სხვა და სხვა ეროვნებისანი არიან და ამიტომაც ვცდილობთ, რომ ცალმხრივი ელფერი არ ედოს ჩვენს გასართობებს. ქართულ წარმოდგენას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. საზაფხულოდ მოწვეული იყო დასი და სისტემატიურად იმართებოდა ქართული წარმოდგენები. ამ გვარათვე მოწვეულია დრამატიული დასი საზამთრო სეზონისათვის. ქართულმა დრამატიულმა დასმა ექვსი წარმოდგენა უნდა გამართოს თვეში. არ გვესმის, თუ გული არ შეგვტკიოდეს, რატომ ესე ვიქცევით და არა სხვა ნაირად. რამდენად სამართლიანი ბრალდებაა ქართულ დრამატიულ ხელოვნებისადმი ჩვენი გულგრილობის შესახებ, ეს მიუდგომელ მკითხველთათვის მიგვინდვია. „სახალხო გაზეთის“ მეთაურს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ბევრს ჩვენს კულტურულ დაწესებულებაში მეთაურნი იმდენად უსულგულოდ მუშაობენ, რომ ნაყოფი მათი „მოღვაწეობისა“ მეტად მცირე და უმნიშვნელოა. აი, გაზეთი ამას უნდა უწევდეს ანგარიშსა, იქითკენ უნდა მომართოს ისარი კრიტიკის ქარცეცხლისა, იქ იმ უმოქმედობაში ეძიოს მიზეზი საქმის დაქვეითება-დაცემისა და არა გარეშე სრულიად უდანაშაულო დაწესებულებებში და მათ გამგეთა შორის. მე რაც საქმე მაბარია, შეძლებისა და გვარად ვმუშაობ, მომდურავიც არავინა მყავს და კარგი იქნებოდა გაზეთი მე თავს დამანებებდეს და გამანთავისუფლებდეს ასეთი დაუმსახურებელ ბრალდებისაგან, რადგანაც მე არა მცალიან „სახალხო ფურცლის“ საგანგებო“ ავტორების პასუხისათვის, რომელთაც ქართული თეატრი და თავ ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია.

**თ-დ მ. დ. ჭავჭავაძე.**

29 ენკენისთვე 1916 წ.
ქ. თბილისი.

# ჯერ სკოლა და მერმე მასწავლებელი თუ ჯერ მასწავლებელი და მერმე სკოლა?

(დედათა ქართულ საოსტატო სემინარიის გახსნის გამო)

(დასასრული. იხ. „საქართვ.“ № 217)

ამ რიგად იბადება საკითხი: რაში უნდა გამოიხატოს სკოლის ზრუნვა მოწაფეთა აღზრდაში?

ჩვენი სკოლა უნდა ზრუნავდეს:

1. **შეუნარჩუნოს** და განუვითაროს მოწაფეს ხასიათის ის **დადებითი მხარეები**, რომელნიც მას თანდაყოლილი აქვს და ახასიათებენ როგორც ქართველს, მაგ.: გულკეთილობა, გამტანლობა, სხვის პატივისცემა, თავისუფლების სიყვარული, თავმოყვარეობა და სხ., მხოლოდ ისე კი, რომ გულუხვობა არ იქცეს ფუქსავატობად, გამტანლობამ არ მიიღოს დამონების სახე და სხ. იმავე დროს **გადააჩვიოს** ისეთ ხასიათებს, რომელნიც შეადგენენ ქართველი კაცის **ნაკლს**, მაგ.: უდარდელობა, ფუქსავატობა, უანგარიშობა, გაუკითხავად დანდობა სხვისა, გულუბრყვილობა და სხ.

2. შთაუნერგოს მუდმივი **შრომის სიყვარული**, დაზოგვა ნაამაგარისა, ხელმოჭერილობა.

3. ქართველმა კაცმა ბავშვობიდანვე უნდა შეიგნოს ის აზრი, რომ **სხვის იმედით დარჩენა** მას ხელს არ მიხცემს, რომ ყოველ საქმეში [illegible] და მხოლოდ საკუთარი ძალღონის იმედი უნდა ჰქონდეს.

4. მივაჩვიოთ ყოველ საქმეში **საკუთარ ინიციატივას**.

5. დავანახოთ **საერთო მუშაობის** (მოქმედების) **უპირატესობა**, სათანადო შემთხვევებში, კერძოდ მოქმედებაზედ. ამისათვის უნდა **მივაჩვიოთ** სხვა და სხვა **ორგანიზაციის მოწყობას**, ამა თუ იმ მიზნით **შეკავშირება-შეჯგუფებას**.

6. მოწაფემ პირადის ცხოვრებიდან უნდა გამოიტანოს ის დასკვნა, რომ **ხშირად** მისი საკუთარი საქმის წარმატება დაკავშირებულია ამხანაგის (მეზობლის, საზოგადოების, გინდა ერის) საქმის წარმატებაზედ, მისი კეთილდღეობა ამხანაგის კეთილდღეობაზედ; ერთის სიტყვით, გარდა პირადი ინტერესისა არსებობს კიდევ **საზოგადო ინტერესი, რომელსაც უნდა ეძლეოდეს** უპირატესობა.

7. ბავშვობიდანვე უნდა შევეჩვიოთ **პასუხისმგებლობას ყოველს ჩვენს მოქმედებაში.**

საკუთარის გამოცდილებით უნდა დარწმუნდეს ბავშვი, რომ **ყოველი საქმე თხოულობს წინასწარ საფუძვლიან შესწავლას,** ყოველ მხრივ აწონდაწონვას, **დაფიქრებით და გულდასმით შესრულებას.**

9. ბავშვი სიყრმიდანვე უნდა ეჩვეოდეს ყოველის მდგომარეობის **კრიტიკულად შეფასებას**—ნახული იქნება ის, გაგონილი, თუ წაკითხული.

10. პატარაობიდანვე უნდა სწავლობდეს როგორც **სხვის აზრის, სხვის უფლების პატივისცემას**, ისე **საკუთარის აზრის, საკუთარის უფლების მედგრად დაცვას.**

11. ქართველ კაცს ყველაზედ მეტად **აკლია დისციპლინა**, არ აქვს **მტკიცე ნების ყოფა.** ეს ნაკლი მეტად უშლის ხელს მას ცხოვრებაში ღელოს გატანას, მის კეთილდღეობას. ამ ნაკლს უსათუოდ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება პატარაობიდანვე, ოჯახშიც და სკოლაშიც: შემდეგ უკვე ძნელია. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა ყაზარმულ დისციპლინას, არამედ შეგნებულს, როდესაც მბრძანებელი ძალა მისგანვე (მოვალეობის შეგნებიდან) გამომდინარეობს და არა მიიღებს გარედან, როდესაც თვითვე ჰგრძნობს, რომ იგი მოვალეა თავისი მოქმედება დაუმორჩილოს გარეშე მოთხოვნილებას, პიროვნების ინტერესი დაუმორჩილოს საზოგადოების ინტერესს.

12. ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანად, მოწაფე, პირველად სასწავლებელში ეცნობა სამშობლო მხარეს, მის წარსულს; აქვე ირკვევა მოწაფისთვის მისი ნათესაობა, ხორციელი და სულიერი, თვის ქვეყანასთან, თვის ერთან. ცხადია სასწავლებელშივე უნდა გამოირკვეს მოწაფისთვის ის მოვალეობა, რომელიც აწევს ყოველ კაცს თავის ერის წინაშე და განსაკუთრებით დაჩაგრულ, დამონებულ ერის შვილს. და სხვა და სხვა მრავალი.

ერთის სიტყვით, ქართული ეროვნული სკოლა ვალდებულია შეიმუშაოს

# მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

**თავი VI**

**ეროვნული საკითხი გურულთა შორის. ადმინისტრატიული ზომები, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკა და საზოგადოებრივი თვითმოქმედება.**

ჩვენ აღარ განვაგრძობთ ამ ფრიად საგულისხმიერო მოვლენის მნიშვნელობის განვითარებას. ვგონებ ამიერ კავკასიაში ეს პირველი მაგალითი იყოს იმისა, რომ ხალხის თანხმობით და საჩივრით მთელი საგუბერნიო ადმინისტრაცია გამოეცვალოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს უფრო მეორე მხარე ამ მოვლენისა. კავკასიის მეფის ნაცვალმა მხოლოდ მაშინ მიაქცია გურიას ყურადღება, როცა ფორმალ ხასიათის საჩივარს გვერდი აღარ შემოევლებოდა და იმ წესით და რიგით იყო შედგენილი, რომ მის დამწყებლებს საქმის მსვლელობა გადაწყვეტილი ჰქონდათ ბოლომდის მიეყვანათ და, თუ საჭიროება მოითხოვდა, ცენტრალ მთავრობასაც წარსდგომოდენ დასაბუთებულ მოხსენებით. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ფიქრიც შეუძლებელია რაიმე ლიბერალობაზე, რასაც რუსეთის მემარჯვენეებთან ერთად სომხური პრესაც სწამებდა ვ.-დაშკოვს. სომეხნი აფასებდნენ მეფის ნაცვალში მათდამი კეთილგანწყობილებას და ეს საზოგადოებრივ თვითმოქმედების კურსად მიაჩნდათ. ხოლო მემარჯვენეები უწუნებდნენ გრაფს სწორედ ამ ჭარბად გატაცებას მხოლოდ სომხეთა საკითხებით. რუსეთის მემარჯვენეები და არც ლიბერალები არას ამბობდნენ მაშინ გრაფის პოლიტიკის მეორე მხარეზე, რომელმაც უკიდურესი თავისი განსახიერება ჰპოვა გურიის მოხელეთა სადმინისტრაციო პრაქტიკაში. ამ პოლიტიკის განვითარებას და საბოლოოდ დაგვირგვინებას ეკუთვნის აგრეთვე გურიის მიწებზე რუსთა მოსახლეობის გაჩენა. ამაზე უარისა, შეიძლება ვ თქვათ, არ დამართია რა გურიას ამ 10—15 წლის განმავლობაში. მიწის საარაკო სივიწროვე თითქოს საკმარისი თავშდები არ იყო იმისა, რომ თუ არ მოუმატებდნენ, აღარ მოეკლოთ მაინც ფაქტიურ სარგებლობის ფარგლში მოყოლილ მიწებისათვის. რა სარჩული ჰქონდა გრაფის ამ საისტორიო განკარგულებას გურულთა მიმართ?

გასაგები და მისახვედრია, როცა უცხო ტომის ხალხს ასახლებენ ისეთ ადგილებზე, რომელთა მკვიდრი აბორიგენები კულტურით და სამეურნეო ცოდნით დაბლა სდგანან მოსულებთან შედარებით და ამიტომაც ამ უკანასკნელთა გავლენას უნდა განიცდიდნენ და კულტურტრეგერებად აღიარებდნენ მათ. გურიის მიდამოებზე დასახლებულ რუსების შესახებ ეს რომ ვსთქვათ და კულტურტრეგერებად აღვიაროთ ისინი,—ეს აშკარა დაცინვა იქნებოდა თვით ამ ხალხისა, ვინაიდან თვითონაც გრძნობენ თუ რა კომიკურ მდგომარეობაში არიან ჩაცვენილნი ადგილობრივი კულტურის უცოდინარობით, ერთის მხრით, და საკუთარის უქონლობით, მეორეს მხრით. სხვა მოსაზრება, გარდა იმისა, რომ ამით სწადიათ ეთნოგრაფიულად მთლიან დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აჭრელება, აქ მოსატანი არაა. მაგრამ ამ მოსაზრებასაც მხოლოდ მაშინ ექნებოდა ფასი და მნიშვნელობა, რომ მოსულნი კულტურით ჭარბობდნენ ადგილობრივ მკვიდრ გურულებს და ქობულეთის ქართველ მაჰმადიანებს. ერთ ერთ თავში უკვე მოვიხსენიეთ, რომ მიუხედავად კულტურის ნაკლებობისა, ჩამოსახლებული რუსები მაინც განკერძოებით სდგანან და არ უნდათ კავშირი იქონიონ ადგილობრივ მკვიდრთან. ეს გარემოება კარგად ახასიათებს ჩვენში წარმოებულ ჩამოსახლების პოლიტიკის მიმართულებას. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ზევიდან ჩაგონების ძალა და წინასწარი დარიგება, ჩვენ აქედანვე შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ უკანასკნელად ჩამოსახლებულნიც გახდებიან მსხვერპლნი ასიმილიაცია. გათქვეფის კანონისა ისე როგორც ეს უფრო ადრე მოუვიდათ ოზურგეთის მახლობლად სოფელ ეწერში მოსახლე რუსებს. მეორე მხრით მოსალოდნელია ეროვნულ ნიადაგზე შუღლისა და უთანხმოების გაღვივება, რასაც გურულები ჩვეულნი არ იყვნენ. უკვე რამდენიმეჯერ მოხდა შეტაკება მოსულთა და ადგილობრივთა შორის, რაც ხშირად სოფლის შეიარაღებით და ერთმანეთში მკლავის ძალის გაცვლა-გამოცვლით დამთავრებულა. და განა ეს გარემოება იყო ხელმძღვანელ პოლიტიკოსისათვის, როდესაც გურიაში უცხო ტომის ხალხს ასახლებდნენ? მხოლოდ გრაფ ვორ.-დაშკოვის დროს გამწვავდა კავკასიაში ეროვნებათა შორის დამოკიდებულება, რამაც, თბილისის ცნობილ ამბებს რომ დავეთხოვოთ, ისეთ კუთხეებშიაც კი იჩინა თავი, რომელნიც მიწის სივიწროვის გამო სამუდამოდ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ უცხოთა ტალღის მოზღვავებისაგან. მაგრამ ჩვენ შეცდომას დავუშვებთ თუ ვიტყვით, რომ ერთმანეთ შორის როგორც თავისიანებთან, ისე გარედან მოსულ ჩამოსახლებულ ელემენტთან მხოლოდ რუსთა ახალშენის გურიის მიდამოებზე გაჩენით მომზადდა ნიადაგი დამოკიდებულების გამწვავებისა.

ცნობილია და უკვე აწინდელი ომის ფაქტებით დადასტურებული მეტად ცალმხრივი პოლიტიკა გრაფ. ვორ.-დაშკოვისა სამაჰმადიანო საქართველოსადმი. ერთად-ერთი ის პარიზი, რომელზედაც ხვდებოდა ერთმანეთს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ინტერესი—ეს იყო სწავლა-განათლების საქმე, რომლის საშუალებით უნდა შეტანილიყო მივიწყებულ აჭარაში ქართული კულტურა, რომ შემდეგ თვით სახელმწიფო კულტურას და საერთოდ სახელმწიფოებრივი წყობის აზრსაც ჰზიარებოდნენ ისინი. ამ დიად საქმისთვის პირველ ყოვლისა საჭირო და აუცილებელი იყო აჭარის კულტურულად გურიასთან დაახლოვება, მაგრამ ნაცვლად ამისა რას ვხედავთ? მოძრაობის ჩასაქრობად ხმარებულ ზომებში წითელი ზოლივით გატარებული იყო ძველი ნაცადი და ათასჯერ გამეორებული ისტორიული ხერხი dibide impera. აჭარის ბეგები და საერთოდ ქართველი მაჰმადიანები მრავლად ინიშნებოდნენ გურიაში მამასახლისებად, ჩაფრებად. გრაფის პოლიტიკა სწვდდა საქართველოს წარსულ ისტორიას, როცა ქართველი მამულიშვილნი: ერისთავნი თუ სამეფო გვარეულობანი და საერთოდ სხვა და სხვა კუთხე ერთმანეთს ეომებოდნენ ძალა-უფლებისა და უპირატესობის მოპოვებისათვის. მაგრამ რაც იყო და რაც დროთა ტრიალის გამო უკუნეთში დამარხულა, იმის კვლავ გაცხოველება და სამოქმედო გეგმად გამოტანა მხოლოდ არა კეთილგანწყობილებით და უმადურობით თუ აიხსნება დასასჯელად აჩემებულ მხარისადმი. საქართველოს ტრაგედიაც სწორედ ამაში მდგომარეობდა წარსულში და ამ მტკივნეულ ადგილის გახსნება სამოქალაქო და სოციალ-ეკონომიურ ბრძოლის დროს მეტად რეტროგრადულ ზომად უნდა აღინიშნოს და აღინიშნა კიდეც მიუდგომელმა პრესამ. აჭარა-გურიის დაახლოვების საკითხი ისედაც არ იყო პოპულიარული გურიაში, ვინაიდან მომქმედი პოლიტიკური პარტია საამისოდ კეთილ აზრის დათესვას ერიდებოდა და გაურბოდა. ამ შინაგან ნაკლს ზედ დაერთო ადმინისტრატიული პრაქტიკა და ამრიგად „ქართვლის“ ღვიძლ შვილთ ერთმანეთის სამტროდ ამზადებდნენ. რასაკვირველია ბნელ განზრახვებს ოზურგეთის ადმინისტრაციის გამოცვლის შემდეგ გასავალი გზა დაეხშო, მაგრამ მავნე თესლი მაინც ხომ დარჩა გადასროლილი. იპოვის თუ არა ეს თესლი ნიადაგს პოხიერს, ამის შესახებ ვეჭვობ, რომ აზრი ჰქონდეს დღეს ქართველს. ვ.-დაშკოვის პოლიტიკურ კურსის მხარეს მუდამ კრიჭაში ედგა გურიის დასელობა და ამიტომაც არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ მათ თითქმის ამ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში ქვეყნის მმართველთა ყალბ პოლიტიკის წინააღმდეგ მედგრად არ იბრძოდნენ. ამის არა აღნიშვნა ისტორიული ტყუილი იქნებოდა და თან მიუტევებელი დანაშაულიც. მაგრამ ამ ბრძოლაში არ მოსჩანდა ერთი რამ, რაც ყოველ ქართველის გულს აძგერებს დღეს და მოითხოვს მასთან ასეთს თუ ისეთს დამოკიდებულებას. თბილი ეროვნული გრძნობა სოციალ-ეკონომიურ ბრძოლის წარმოების დროს, აი რა შეიქმდა გურულთა შესანიშნავ ბრძოლას ეროვნულად. დღეს კი რაღა შეგვრჩენია ამ ბრძოლიდგან? **პიროვნების პატივისცემის კულტად აღიარება და ყოველგვარ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა**, აი რა ასწავლა გურულებს წარსულმა მოძრაობამ. ამ თვალსაზრისით გურია-აჭარის და მთლად საქართველოს ეროვნულ შევიწროების საკითხი საერთო უსამართლობის ერთი რგოლთაგანია და არა თვით ეს უსამართლობა. მაგრამ მომხდარი ამბები და მეტადრე აწინდელი ომი დიდ დაღს დაასვამს გურულთა მანამ ეროვნულ საკითხში დუნე აზროვნებას. ჩვენი მეზობელი ერი იწვევს გურულებს ასეთს შეგნებისაკენ. ყაჩაღად მონათვლა მთელი ხალხისა, ეს ისეთი სააგიტაციო ლოზუნგია, რომლის გამოყენებას, რასაკვირველია, გურიის დასელები არ მოისურვებენ, მაგრამ თვით ხალხი შეუძლებელია გულგრილად შეხვდეს აშკარა ცილისმწამებელთა გამოსვლებს. საგულისხმოა, რომ გურიისა და აჭარის ეროვნული შეგნება ერთი ხაზით მიმდინარეობს. „ორიზონიდან“ არლოები გურულებს ყაჩაღის სახელით ნათლავენ, ხოლო გამოქცეული სომხები იჯარით იღებენ გატიალებულ აჭარის სოფლებს. გურია და აჭარა იგრძნობს საფრთხეს, რომელსაც უმზადებს მათ თავიანთ მამულ-დედულზე მოსულ ელემენტთა დასახლება. **ეროვნული გრძნობის გაღვივება და ტერიტორიის დაცვის აუცილებლობა**, აი საითკენ მიუთითებს ორ მეზობელ მოძმეთ დღევანდელი ჩვენი საერთო ვითარება. სოციალ ბრძოლაში სამაგალითოდ მიჩნეული გურია აქაც შესძლებს აქტივობის გამოჩენას და მაშინ მას ვერას დააკლებს ვერც ცალმხრივი პოლიტიკა ქვეყნის მმართველისა, და ვერც უტაქტობა და გაქინიანება მომქმედ პოლიტიკურ პარტიისა.

**დ. არონიშიძე.**

(შემდეგი იქნება)

*) დასასრული მეექვსე თავისა.

და ცხოვრებაში გაატაროს საკუთარი, **მიზანშეწონილი სისტემა მოზარდი თაობის აღზრდისა.** ჩვენთვის, როგორც პატარა ერისათვის, რომლისთვისაც ყოველი წევრი ანგარიშში მისაღებია, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის აღზრდას, მის მიმართულებას. მოხელეების მომზადება, დამახასიათებელი თვისება დღევანდელი სკოლისა, უნდა უკუგდებულ იქმნეს. კმარა, რაც მოხელეები ვზარდეთ და რაც ქართველმა მოხელემ აკეთა თვისსავე სამშობლოში უცხო საქმე. ჩვენ საკუთარ სკოლას მაინც ამისთვის ნუ მოვაცდენთ.

ნუ იფიქრებთ, ბ. ბ., რომ ყველა ზემოდ დასახელებულ მოვალეობის შესრულება სკოლისათვის ძნელი იყოს, უკეთუ მასწავლებელი შესაფერისად მომზადებული ეყოლება. სკოლა მუდამ იძლევა მრავალ შემთხვევას ამა თუ იმ ზომის გასატარებლად, ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად: იქნება იგი, მაგ., ამოცანების გამორკვევა, ზეპირი თუ საწერი სამუშაო, ხატვა თუ ხაზვა, გალობა თუ ხელ-საქმე, ბუნების-მეტყველების, თუ ისტორიის, გინდა სამღვთო სჯულის გაკვეთილი და სხ. და სხვ.—შესაძლებელია მივაჩვიოთ მოწაფე საკუთარს ინიციატივას, კრიტიკულ მსჯელობას, ბეჯითობას, ხასიათის სიმტკიცეს, მუყაითობას, დაზოგვას, სხვებთან ერთად შეთანხმებულ მოქმედებას და სხვ. და სხვა მრავალ დადებით ხასიათებს, რაიც შემდეგ ყოველ პროფესიაში საჭირო გახდება მისთვის და ცხოვრების გზას გაუადვილებს. სკოლა იგივე ერთგვარი საზოგადოებაა მოზარდი თაობისა, უმფროსთა და უმცროსთა ჯგუფებისაგან შემდგარი. ამ საზოგადოების წევრია მოწაფე 5—6 და ხშირად 10—11 წლიწადი. და სწორედ სკოლის ჰასაკში და სკოლაში ეძლევა უმთავრესი მოხაზულებანი საზოგადოების მომავალ წევრის პიროვნებას. მაგრამ ვინ უნდა შექმნას ეს პიროვნება, ვინ უნდა მისცეს მას სასურველი სახე, ვინ უნდა აღასრულებინოს ეს დიადი დანიშნულება სკოლას?

მხოლოდ და მხოლოდ ახალმა, განსაკუთრებულის მომზადებით აღჭურვილმა **ეროვნულმა მასწავლებელმა** და არა დღევანდელის ტიპისამ, რომელსაც, მეტადრე ამ ბოლო დროს, ასეთის აჩქარებულის ტემპით, 1—2 წელში, აცხობენ და არა ამზადებენ. ეხლანდელ მასწავლებელს კი, უცხოთა მიერ უცხო ტიბიკონზედ აღზრდილს, უცხო ძუძუ ნაწოვს, არ ძალუძს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ეროვნულ სკოლას. არ კმარა მხოლოდ კეთილი სურვილი, ძალიანაც რომ იყოს განსჭვალული ასეთის სურვილით, საჭიროა სათანადო მომზადება და შეგნება-შესისხლხორცება თავის მოვალეობისა მასწავლებლის მხრივ, რომ მისმა მოღვაწეობამ გამოიღოს სასურველი ნაყოფი. მომავალი ქართული სკოლის სამოქმედო ასპარეზი დიდია: ქართული სკოლა ქრისტიან ქართველებში, ქართველ კათოლიკეებში, ქართველ მაჰმადიანებში, ქართველ გრიგორიანებში, ქართველ ისრაელებში, ყველა ისინი უნდა ემსახურებოდნენ ერთს იდეას, ყველა ესინი უნდა გადაბმულ იყოს ერთის ჯაჭვით და ამ ჯაჭვის გამოჭედვა შეუძლია მხოლოდ საგანგებოდ მომზადებულს ეროვნულ მასწავლებელს. ასეთი მასწავლებელი თვით უნდა იყოს აღზრდილი ზემოდ დასახელებულ პირობებში და საზოგადო განათლებასთან ერთად საფუძვლიანად გაცნობილი სამშობლო ქვეყანას, მის ისტორიას, მის ლიტერატურას, მის ბუნების სიმდიდრეს, მის დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, უნდა ნათლად წარმოდგენილი ჰქონდეს, რა ჰლუპავს მის ერს, რაშია ხსნა. მხოლოდ ასე აღზრდილი ადამიანი სხვასაც შესაფერისად აღზრდის, იქნება იგი მასწავლებელი თუ მშობელი. ვიდრე ასეთი მასწავლებელი არ ეყოლება ჩვენს სკოლას, ყოველივე ცდა ამაოა.

მაგრამ ვინ აღგვიზრდის ასეთს მასწავლებელს? რასაკვირველია არავინ, თუ არ ისევ ჩვენ; სწორედ ჩვენ, და არა სხვამ, უნდა აღვზარდოთ ჩვენი მასწავლებელი. საკუთარი ძუძუ ვაწუოთ, საკუთარ აკვანში ვარწიოთ, მშობლიური ნანა ვუმღეროთ ეროვნულ ემბაზში მოვნათლოთ. საკუთარი სამოსტატო სემინარია ერთად ერთი საშუალებაა ეროვნულ მასწავლებლის აღსაზრდელად, რომელსაც მოჰყვება თან ეროვნული სკოლაც. სათანადოდ მომზადებულ მასწავლებლის ხელმძღვანელობით ეროვნული სკოლა მაშინ ადვილად შეასრულებს თავის მოვალეობას ერის წინაშე. ერთი-ორი თაობა და იშვება ახალი, მძლავრი სულით, საქართველო. მაშინ დავინახავთ, ყველა ზემოდ ნათქვამი ოცნება არ ყოფილა უსაქმო პირთა; მაშინ დავრწმუნდებით, რომ „განათლების“ საზოგადოება სალ და სწორე გზაზედ მდგარა, როდესაც უთქვამს: ჯერ ეროვნული მასწავლებელი, ჯერ სამოსტატო სემინარია და მერე სკოლა.

ასე დიადია, მნიშვნელობა სამოსტატო სემინარიისა, და განუსაზღვრელი მისი შედეგი. ეს არის ის დედა ბოძი, რომელზედაც დაიდგმის ეროვნული კოშკი და ყოველი ქართველის მოვალეობაა მიიღოს მონაწილეობა ზნეობრივი თუ მატერიალური, ამ ბოძის მკვიდრად დადგმაში.

ი. ზ.

# ნაძირალნო, კმარა!

ვერ აიღებ ხელში ვერც ერთს ნომერს ჩვენი ყოველ დღიურ გამოცემისას, სადაც გულშემზარავი ბოროტმოქმედება არ იყოს აღნიშნული. იგი თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა და ყურსაც არავინ იბღერტავს მის ამოსაფხვრელად; უპატრონოდ და უკაცოდ დარჩენილ სოფლებში დღეს სოფლის ნაძირალნი დაპარპაშებენ, ცარცვა-გლეჯასაც აღარ სჯერდებიან, ცოცხალ ადამიანს იტაცებენ. ეს ხდება ჩვენი ქვეყნის ყოველ მხარეს. ბევრი კეთილის საქმის დაწყების სურვილი სათავეშივე ჩაჰკლეს.

სოფლად ასეთ მსხვილ ბოროტებას თან ახლავს ყოველ დღიური პატარა ქურდბაცაცობაც, რომლის მოსპობა სოფლის ადგილობრივ მოხელეთაც შეუძლიანთ, თუ კი ცოტაოდენ სიფხიზლეს მაინც გამოიჩენენ.

ასევე ხდება აქ თბილისშიაც, მე მოგახსენებთ თბილისის სადგურის შესახებ, სადაც ყოვლად წარმოუდგენელი სიბოროტეა. დამაჩემის წერილით მინდა მივმართო კახ. რკ. გზის გამგეობას, რომ მათ მაინც მიიღონ ზომები და მით ხელი შეუშალონ ბოროტმომქმედთ. ვერც ერთს საღამოს ვერ ნახავთ, რომ მგზავრნი არ სჩიოდნენ დანაკარგ ბარგს, ხურჯინებს და სხვ. ამას ხელს უწყობს შემდეგი გარემოება. კახეთის მატარებელი ჩერდება სადგურის მოშორებით, სადაც სადგურის სინათლე ვერ სწვდება.

აქ ამართულია სამი ფარანი, რომლის ერთ მათგანს არ ანათებენ, ან და იშვიათად, ორის სინათლე-კი არ ჰყოფნის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ორიც ძალიან ხშირად ჰქრება სწორედ მატარებლის მოსვლისას. დამხვედრთა და ჩამომსვლელთა ერთი მეორის ძებნა. ეს სიბნელე, ხალხის არევდარევა და ბნელი ძალებიც სარგებლობენ.

ამბობენ ბოროტმომქმედნი რაღაც საშუალებით აქრობენ იმ დროს ფარნებსაო. ეს გარეთ, და შიგნით ვაგონში-კი ყოვლად შეუწყნარებელია კახ. რკ. გზ. მმართვ. საქციელი. თითო ვაგონზედ აძლევენ სულ 2—3 სანთელს, რომელიც ოდნავ ძლივს ანათებს, და სწორედ ამ ორ სანთელსაც მისვლისთანავე კონდუქტორები აქრობენ, და ყოველნაირ უწესოებას ფართო სარბიელი ეძლევა.

ჩვენ არ ვიცით ფარნების განათების საქმე ვის განკარგულებაშია, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ უსაყვედუროთ და არ უთხრათ კახ. რკ. გზ. მართველობას, მიაქციოს სათანადო ყურადღება, რომ როგორც გარედ ისე შიგნით მგზავრების წასვლამდე დაცულ იქმნას სინათლე.

ხოხო.

# წერილი ფოთიდან

(შავი ზღვის ნაპირა რკინის გზა)

მიუხედავად ომის მიერ გამოწვეული მუშათა კრიზისისა შავი ზღვის ნაპირა რკინის გზის აგება სწრაფად სწარმოებს. როგორც უკვე ვიცით ეს ახალი რკინის გზა ამიერ კავკასიის რკინის გზას შეუერთდება ფოთის გზაზე—სახელდობრ, სადგურ ქვალონში. ასე იყო ომამდე გადაწყვეტილი, მაგრამ დიდად პატივცემული ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის მეცადინეობით გადაწყვეტილია მეორე შტო გამოიყვანონ ოჩამჩირიდან, გამოატარონ ფოთში და სადგურ სუფსაში (თუ სუფსასა და ნატანებს შუა) შეუერთონ ბათომის რკინის გზას. ამრიგად, როგორც ხედავთ, რუსეთს პირდაპირი დამოკიდებულება ექნება მთელ დასავლეთ საქართველოსთან და თუ რა დიდი მნიშვნელობა დაურჩება ამას ჩვენი ქვეყნისათვის ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ალბად ძლიერ კარგად ჰქონდა გაჰვრეტილი ჩვენს საამაყო დაუღალავ მხნე მოღვაწე—ნიკოლაძეს და სისრულეშიაც მოიყვანა ეს საშვილიშვილო საქმე.

გადაწყვეტილია რკინის გზის აგება ახლავე შეუდგნენ ფოთსა და სუფსას შუა, უკვე შეუდგნენ სათადარიგო მუშაობას. მაგრამ აქ ერთი „მაგრამი“ გამოტყვრა. ეს მაგრამი გახლავს თუ სად უფრო სამჯობინარი იქნება რკინის გზის შეერთება: სად. სუფსაში, თუ სუფსასა და ნატანებს შუა. მართალია ფოთი გურიის ქალაქად არის ნაცნობი, მაგრამ გურია მას უგზოობის გამო ვერ წვდება. მას (ფოთს) გურია მეტადრე ჩამოშორდა ბათომის რკინის გზის გაყვანის შემდეგ. ფოთს კი ჰკვებავს ერთის მხრით სამეგრელო-სამტრედია და მეორეს მხრით გურია, მაგრამ მანამდე, სანამ ბ-ნ ნიკოლაძისავე მეოხებით მალთაყვაზე ხიდი არ გაიდო და გზა არ შეკეთდა, გურული ჩალანდრები ზოგჯერ მთელი კვირაობით „ყურყუტობდნენ“ მალთაყვის პირად—ბორანთან, ხიდისა და გზის შეკეთების შემდეგ კი გურია კვლავ დაუახლოვდა ფოთს და რაც ბ-ნ ნიკოს ამის შემდეგ გურულები ლოცავენ, იმისი მეათედი რომ ღმერთმა ისმინოს „ცას გამოეკერება“ და მათუსალას ოდენას გასძლებს ჯანმრთელად—მარჯვენა ნაკურთხი.

ახლაც, თუ სად შეუერთდება ეს ახალი შტო, გურიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სუფსა (ძველი უნაგერა) რკინის გზის გაყვანამდე უდაბური ადგილი—სახობზე იყო. დღეს კი მოზდილი დაბაა და საკუთარი სამამასახლისო. გურიის მცხოვრებთა 90% სუფსის გზით (სუფსაზე გავლით) უნდა ჩავიდეს ფოთში. მაშასადამე, მთელი გურია ერთი-ორი საზოგადოების გამოკლებით აუცილებლად იმისი მსურველი იქნება, რომ ეს გზა უსათუოდ სუფსაში შეუერთდეს და არა სხვაგან, მაგრამ სუფსას გაუჩნდა მეტოქე—არ ვიცი ვინ, მაგრამ ვიღაცასთვის საჭირო დარჩა რკინის გზა შეუერთდეს სადგურ სუფსასა და ნატანებ-შუა, უდაბურ და უკაცურ ადგილას—სასოფლო გზას მოწყვეტილს ეს ამბავი ადრე გაიგეს სუფსლებმა და მოკრძალებით დეპუტაცია აახლეს ბ-ნ ნიკო ნიკოლაძეს, დაუსაბუთეს, რომ სუფსაში შეერთება მთელი გურიისათვის უპრიანია და სთხოვეს დახმარება. როგორც მოსალოდნელი იყო ბ-ნი ნიკოც დაჰპირდა დეპუტაციას დახმარება და თან დასძინა, რომ სუფსაში სადგურია, მდ. სუფსაზე ხიდია და ყველა ეს კი გზის გაკეთებას გაადვილებსო. სრული იმედია ბ-ნი ნიკო თავის დანაპირებს აასრულებს და მით მთელი გურიის მადლობას დაიმსახურებს. უკეთუ გზა სუფსაში შეუერთდება, მაშინ ამას აუცილებლად ის მოჰყვება, რომ შუაგურიის ფოთის გზა, რომელიც მოდის სურების „კატარიდან“ გაივლის გურიის „კაკალ შუა-გულს“ დაბა ნაგომარს, გადასჭრის ძიმითისა და ჩოჩხათის მრავალ რიცხოვან მცხოვრებთ და ჩავა სუფსაში, აი ეს საურმე გზა შეკეთდება და ეტლი პირდაპირ ივლის ჩოხატაურ-ნაგომრიდან და მაშასადამე ისარგებლებს მთელი ჩოხატაურის საბოქაულო და ნაწილი ლანჩხუთისა (აკეთი, ძიმითი) და ნაწილი გურიანთის (ბახვი). უდაბურ ადგილას რომ შეუერთდეს კი მაშინ ისარგებლებს მარტო მიქელ-გაბრიელის საზოგადოების ნაწილი, რადგან მეორე ნაწილს უფრო ახლოს აკრავს სადგური ნატანები.

ხოჯ-ოღლი.

# ქ-ნ კატო მიქელაძის ლექცია ოზურგეთში

24 ენკენისთვეს, ქ. ოზურგეთში ქ-ნმა კატო მიქელაძემ წაიკითხა ლექცია სიმბოლისტ-ფუტურისტების შესახებ. ქ-ნ ლექტორ ქალ', ვინც კი შესძლებს და ლექციას ბოლომდე მოუსმენს, ყველა დარწმუნდება, რომ ის ლექციისათვის ღრმად მომზადებულა, ყველა წყაროები გულდასმით შეუსწავლია, საჭირო ადგილები ამოუწერია, ერთი სიტყვით, შრომა და ენერგია არ დაუზოგავს. მაგრამ „მე (და ჩემთან თითქმის მთელ აუდიტორიას), მისსა“ მსმენელსა, „ამერია სული-გული“ და ვთქვი: ვისთვის დაშვრი ეგზომ, ქალბატონო, ეგ ლექცია ხომ ჩვენი საგბილო არ არის, სალონში წასაკითხავია, საკამათო, ისეთ წრეში, საცა ყველა მსმენელი მომზადებულია, მაგრამ ერთი მეორეს ვერ შეთანხმებია. ჩვენ კი შეგვინდვე ვერა გავიგეთ რა, რადგან არ ვიცით არც ფრანგული და არც რუსული, არა ვართ ენციკლოპედისტები... თუ რამდენზე გასაგები და მსმენელთათვის მიმზიდველი იყო ლექცია ამას ახასიათებს ერთი დამსწრე ინტელიგენტის თქმული:—„მთელი ჩემი ენერგია მარტო იმას მოვანდომე, რომ არ ჩამომძინებოდა“ო, მაგრამ ყველა ასეთი ენერგიის არ გამოდგა და აკი გულიანად გამოიძინეს.

ფრიად სასიამოვნო იქნება, თუ ამდენ ენერგიას და საქმის სიყვარულს ჩვენი ქართველი ქალები მოანდომებენ ხალხისთვის უფრო მწვავე საკითხის გარკვევა-გაშუქებას. მაგალითად, არავისათვის საიდუმლო არ არის, თუ რა ნაირ ეპიდემიურ ხასიათს იღებს ჩვენში მუცლის მოშლა, ბევრჯერ იყო გაზეთებში აღნიშნული ამისი მსხვერპლი და აი ეხლა, როცა ჩვენი ქვეყანა დაკლებულია ^დ^ მაგიერ შვილებს საჭიროებს, მრავლების მაგიერ ვკლებულობთ, გაჩენის მაგიერ გაჩენილს ვკლავთ. აი, ქალბატონებო, ყველაზე მეტ მტრობას ქარაფშუტა ფუტურისტებს მაშინ გაუწევთ, თუ ჩვენს დედაკაცებს დედობრივ მოვალეობას შეაგნებინებთ. ეს ტემა ლექციისათვის ყველასთვის გასაგებიც იქნება და საჭიროც. ან აიღეთ მეორე ტემა—დედაკაცი და მეურნეობა, ოჯახობა, ჰიგიენა და სხვა... ლექციას ხალხი ნაკლებათ დაესწრო და ვინც არ დაესწრო არაფერი არ წაუგია.

ბოდლერი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის
## მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |


# სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

# თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გაყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# მიმართეთ
## ცნობის კონტორას
# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

# კულინარული (მზარეულობის) სკოლა
# ე. ნ. მისტროვისა

(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გაიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე. (10—338—6)

# სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

# საგალანტერიო მაღაზია
# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
# ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი (101—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ^დ^ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს** წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ^დ^ წიგ. მაღაზია

# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартკილадзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартkиладзе.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ზმგშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოკო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკებ. რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.